სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

თებერვალი №3

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საბაჟო-სალაროდ და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Naziko Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi orjer, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

ISSN 1987-9156

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-48

instruqcia / **Instructions**---------- 49-55

auqcioni / **Auqcion** ---------- 56

gadasaxadebi #3, 2019

GADASAKHADEBI #3, 2019

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №30

2019 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 03/08/2015; 280120000.10.003.018767) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა), რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სოციალურად დაუცველი ოჯახები), დახმარების მიზნით გაიცეს სუბსიდია მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით (1კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით, დღგ-ის ჩათვლით).“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 4. ამ დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ელექტროენერგიის სუბსიდიით სარგებლობის წესი და პირობები დამატებით განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 5. ამ დადგენილებით განსაზღვრული ელექტროენერგიის სუბსიდიის დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №35

2019 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/09/2015, 430210000.10.003.018862) და დადგენილების:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. **პირველი მუხლის**:

ა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით, ყოველთვიურად გამოეყოფა დაფინანსება:

ა) უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი;

ბ) წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი;

გ) მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატები იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში (შემდგომში – სქემა) განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატისა და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტია სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე, რადგან სქემაში მასწავლებლად განაწილების შემდგომ მას უნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.“;

ბ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. საჯარო სკოლას, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსებისა და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, ყოველთვიურად გამოეყოს დაფინანსება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის, დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“;

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. იმ საჯარო სკოლების ნუსხას, რომელთაც ამ მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული დაფინანსების გარდა, ესაჭიროებათ დამატებით დაფინანსება, შესაბამის დამატებითი დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შერჩეულ საჯარო სკოლებს, ამ დადგენილებით გათვალისწინებული დაფინანსების გარდა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, ყოველთვიურად გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული თითოეული შტატგარეშე მოსამსახურის შრომის ანაზღაურებისათვის 395 ლარის ოდენობითა და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანისთვის, დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით.“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. ყოველ წელს კერძო სკოლებზე გასაცემი ვაუჩერის ოდენობას დააკლდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების ბეჭდვისა და აკინძვის ღირებულების პროპორციული თანხა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს – საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და კერძო სკოლას შორის გაფორმებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №46

2019 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №565 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 09/11/2015; 040030000.10.003.018951) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის საფასურის, მისი გადახდის, გადახდილი საფასურის დაბრუნებისა და საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. **დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ გაწეული მომსახურების სახეები და ამ მომსახურების საფასური დანართის შესაბამისად. ცენტრის მიერ გაწეული სხვა მომსახურების განფასება ხდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №49

2019 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/11/2015, 010110020.10.003.018977) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის“:

1. **მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ საარსებო შემწეობის მისაღებ შესაბამის ზღვრულ ქულაზე. აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს გაცემული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენამდე არაუმეტეს 15 დღით ადრე;‘‘.

2. მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფაქტი პირის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ინფორმაციით, პირის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გაცემული ინფორმაციით, ხოლო პირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში – შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით.‘‘.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №58

2019 წლის 12 თებერვალი, ქ. თბილისი

„სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილებაში (სსმ, №5, 12/01/2007) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშვნა-გაცემის წესისა და პრინციპების“ მე-5 მუხლის:

1. **მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი**:

„6^1. სააგენტო უფლებამოსილია, ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის სანაცვლოდ ეკვივალენტურ დოკუმენტად მიიჩნიოს და შესაბამისი კატეგორიის პირებს საყოფაცხოვრებო სუბსიდია დაუნიშნოს ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონული ბაზის მონაცემების საფუძველზე, რაც სააგენტოს მიეწოდება სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ, ურთიერთშეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

2. **მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„8. საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ადმინისტრირებისას გამოიყენება სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ან/და წარმოებული მონაცემთა ბაზები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №59

2019 წლის 12 თებერვალი, ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ან ანგარიშვალდებული, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელები, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, 10 სამუშაო დღით ადრე მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს თანხმობის მისაღებად. მიმართვაში უნდა აღინიშნოს მივლინების მიზანი, მივლინების დაწყებისა და დასრულების თარიღი, მივლინების დღის წესრიგი (მათ შორის, მოსალოდნელი შეხვედრები და განსახილველი საკითხები), ასევე ინფორმაცია დელეგაციის შემადგენლობის, მივლინების ხარჯების ოდენობისა და ანაზღაურების თაობაზე. მივლინებაში გამგზავრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №66

2019 წლის 13 თებერვალი, ქ. თბილისი

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“, „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 3^1 მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) გათვალისწინებით:

ა) გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებები გათავისუფლდნენ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის მე-19 მუხლის მე-14 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონტროლის ან რევიზიის შედეგად დაკისრებული/დასაკისრებელი საჯარიმო სანქციების გადახდისაგან 2019 წლის 1 თებერვლამდე პერიოდზე და განესაზღვროთ პროგრამულად ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება;

ბ) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს საჭირო ზომების გატარება ამ დადგენილების შესასრულებლად. შედეგების შესაბამისად, განახლდეს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის 19^1 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდის ადმინისტრირების ღონისძიებები;

გ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2019 წლის 1 თებერვლამდე დაკავებული თანხა, აგრეთვე მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ, შესაბამისი დავალიანების გამო, ნებისმიერი სხვა ფორმით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამავე პერიოდამდე გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №67

2019 წლის 13 თებერვალი, ქ. თბილისი

„შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს №417 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/08/2015, 270000000.10.003.018803) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია, შრომითი იმიგრანტის შრომითი მოწყობისა და მისი შრომის გამოყენების შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო) გაუგზავნოს შეტყობინება საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმებასთან დაკავშირებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №72

2019 წლის 13 თებერვალი, ქ. თბილისი

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დებულების, მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულებისა და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით შესაბამისი სამსახურებისა და არასამხედრო-შრომითი ფორმირებების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №391 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის დებულების, მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულებისა და არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მიზნით შესაბამისი სამსახურებისა და არასამხედრო-შრომითი ფორმირებების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №391 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2013, 120340000.10.003.017554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. **„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის შესახებ დებულების“** (**დანართი №**1):

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) **სამინისტრო** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) **მინისტრი** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცნობაში მითითებული უნდა იყოს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადის დაწყებისა და მისი ამოწურვის „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული თარიღები, ასევე იმ დამსაქმებლის რეკვიზიტები ან/და საიდენტიფიკაციო მონაცემები და ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი, რომელთანაც მოქალაქე ვალდებულია, გამოცხადდეს მისთვის ამ ცნობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. ამასთან, ცნობას თან უნდა ერთოდეს სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურსა და დამსაქმებელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეული მოქალაქის დასაქმების შესახებ ხელშეკრულების ასლი. დასაქმების შესახებ ხელშეკრულების ნიმუშს ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით.“;

ბ.ბ) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აწარმოებს სააღრიცხვო ბარათს, რომელშიც აღინიშნება ამ მოქალაქის მიერ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მსვლელობა. ბარათის ფორმას შეიმუშავებს სახელმწიფო კომისია და ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით;“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული „მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულების“ (დანართი №2) მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. სახელმწიფო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით.

2. სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდანდევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.

3. სახელმწიფო კომისიაში, სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, წარმოდგენილ უნდა იქნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №73

2019 წლის 13 თებერვალი, ქ. თბილისი

„დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (3024-რს; 05/07/2018) მე-2 მუხლის მე-19 პუნქტის შესაბამისად, „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის №624 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/11/2014, 470230000.10.003.018244) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის‘‘:

1. **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის**:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომლებისთვისაც განხორციელდება მაძიებლების დაფინანსება პროგრამის ფარგლებში, განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;‘‘;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დ) მაძიებელთა შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) №2 დანართით განსაზღვრული „საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შერჩევის წესის“ მიხედვით;‘‘.

2. მე-7 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 7. დაფინანსების წყარო

ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების წყაროა შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გათვალისწინებული ასიგნება.‘‘.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №37

2019 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში (სსმ III, 03.08.2005 წ., №91, მუხ.1035) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „ჰ.ჰ.ჰ.უ^{3}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ.ჰ.ჰ.უ^{3}) სს „საქართველოს რკინიგზის“ გადასაგზავნი ზედნადები ინვენტარული ფარეხის ცარიელი ვაგონის გადაზიდვაზე (გუ - 27ჰნ);“.

2. ამოღებულ იქნეს „ჰ.ჰ.ჰ.უ^{4}“, „ჰ.ჰ.ჰ.უ^{5}“ „ჰ.ჰ.ჰ.უ^{25}“ ქვეპუნქტები.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №38

2019 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს დებულებისა და საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 8 ივნისის №188 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს დებულებისა და საბჭოს მიერ საჩივრის განხილვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 8 ივნისის №188 ბრძანებით (ვებგვერდი, 09/06/2017, სარეგისტრაციო კოდი 260000000.22.033.016983) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-19 მუხლის მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) აღარ არსებობს დავის საგანი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №42

2019 წლის 14 თებერვალი, ქ. თბილისი

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს „დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესი და პირობები“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესი და პირობები

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

1. გადასახადის გადამხდელისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარირებით დასაბრუნებელი ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელისათვის მის მიერ ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის ავტომატურად დაბრუნების პირობებს და ამ მიზნით განსახორციელებელ პროცედურას.

2. ამ წესით გათვალისწინებული დებულებები არ ართმევს გადასახადის გადამხდელს უფლებას, ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში - დღგ) თანხა დაიბრუნოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის („გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის VI თავის მე-18 მუხლის №I-131 დანართი) საგადასახადო ორგანოში წარმოდგენის მომენტისათვის დაწყებულია „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის №455 ბრძანებით განსაზღვრული პროცედურები, ამ ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურები დაიწყება „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის №455 ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდგომ.

მუხლი 2. ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმა

1. ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმა (შემდგომში – გაანგარიშება) წარმოადგენს ელექტრონულ დოკუმენტს (დანართი №1), რომელშიც აღირიცხება დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხები.

2. გაანგარიშებაში აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც წარმოშობილია გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში დღგ-ის დეკლარაციის წარმოდგენის შედეგად და რომელიც მცირდება გადასახადის გადამხდელის სხვა დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების (მათ შორის, ვალდებულების, რომელიც არ არის აღიარებული გადასახადის გადამხდელის მიერ) თანხით.

მაგალითი 1:

2019 წლის 15 თებერვალს გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილ იქნა იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, რომლითაც შესამცირებლად გამოანგარიშებული დღგ-ის თანხა ბიუჯეტის კუთვნილ დღგ-ის თანხას აღემატებოდა 200 000 ლარით. ამასთან, საწარმოს ამავე საანგარიშო პერიოდზე 2019 წლის 21 თებერვალს საგადასახადო ორგანოს მიერ დაერიცხა მოგების გადასახადი 50 000 ლარის ოდენობით, რომლის გასაჩივრების ვადა გასული არ არის.

მოცემულ პირობებში:

გადასახადის გადამხდელს, 2019 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, მაკორექტირებელი გატარების საფუძველზე, გაანგარიშებაში დაუფიქსირდება სალდირებული ზედმეტობა 150 000 ლარის ოდენობით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. გაანგარიშებაში მონაცემები აისახება დღგ-ის დასაბრუნებელი თანხის კორექტირების მიზნით, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათსა და გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე არსებული მონაცემების (შემდგომში – ნაერთი ინფორმაციის) გათვალისწინებით, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე ისეთი ოპერაციის განხორციელებისას, რაც იწვევს გაანგარიშებაში არსებული მონაცემების (ზედმეტობის) შემცირებას.

მაგალითი 2:

შპს X-მა 2019 წლის 19 იანვარს დააზუსტა 2018 წლის ოქტომბრის თვის მოგების გადასახადის დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი გადასახადის თანხა შეადგენდა 5000 ლარს. ამ მომენტამდე შპს X-ს, ნაერთი ინფორმაციის მიხედვით ერიცხებოდა ზედმეტობა 7000 ლარის ოდენობით, ხოლო გაანგარიშებაში ფიქსირდებოდა ზედმეტობა 6000 ლარის ოდენობით. დღის ბოლოს ნაერთ ინფორმაციაში არსებულმა სალდირებულმა ზედმეტობამ შეადგინა 2000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

2019 წლის 19 იანვრის დღის ბოლოს გაანგარიშებაში, მაკორექტირებელი ჩანაწერის საფუძველზე, არსებული ზედმეტობის ოდენობა გაუტოლდება 2000 ლარს.

შენიშვნა: დროებითი აღრიცხვის ბარათზე შემცირებით გაანგარიშებული თანხები გაანგარიშებაში არ გაითვალისწინება მათი აღიარების საკითხის გარკვევამდე.

4. გაანგარიშებაში აისახება დღგ-ის ზედმეტობა, რომელიც წარმოშობილია 2019 წლის იანვრის და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდების მიხედვით წარმოდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციებით (მათ შორის, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდებზე დაზუსტებული დეკლარაციით, ასევე, დადგენილი ვადის დარღვევით (დაგვიანებით) წარმოდგენილი პირველადი დეკლარაციით).

მაგალითი 3:

შპს X დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 13 მაისიდან.

შპს X-მა 2019 წლის 11 მარტს წარმოადგინა 2018 წლის იანვრის თვის, 2019 წლის იანვრის თვისა და თებერვლის თვის საანგარიშო პერიოდების დღგ-ის დეკლარაციები. სამივე დეკლარაციით გადასახადის გადამხდელის შესამცირებლად გამოანგარიშებული დღგ-ის თანხა აღემატებოდა ბიუჯეტის კუთვნილ დღგ-ის თანხას. დეკლარაციების დამუშავების შედეგად, 2019 წლის იანვრის საანგარიშო თვის დეკლარაცია შესასწავლად გადაეცა უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს, რომლის დამუშავების პროცესიც 2019 წლის 18 მარტს წარმატებით დასრულდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოცემულ პირობებში:

2019 წლის 11 მარტს გაანგარიშებაში არ აისახება არცერთი დეკლარაცია. ამასთან, 2019 წლის იანვრის თვის დეკლარაციით ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხები გაანგარიშებაში აისახება 2019 წლის 18 მარტს (ვინაიდან დეკლარაციის შესწავლა წარმატებით დასრულდა), ხოლო 2019 წლის თებერვლის თვის დეკლარაცია აისახება 2019 წლის 15 მარტის სავადოთი (სავადო თარიღის გასვლისთანავე). ამასთან, 2018 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია გაანგარიშებაში არ აისახება, ვინაიდან იგი წარმოადგენს 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციას.

მუხლი 3. გაანგარიშებაში მონაცემთა ასახვის ვადები

1. გაანგარიშებაში პირველადი საგადასახადო დეკლარაციით (დღგ-ის დეკლარაციით) დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა აისახება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ანუ ვადის დადგომის თარიღისათვის ავტომატურ რეჟიმში. დეკლარაციის გაანგარიშებაში ასახვა ხორციელდება ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

მაგალითი 4:

შპს X-მა 2019 წლის 11 თებერვალს წარმოადგინა 2019 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დეკლარაცია, რომლის სავადო თარიღიც არის 2019 წლის 15 თებერვალი.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის სავადო თარიღს წარმოადგენს 15 თებერვალი, აღნიშნული დეკლარაციით მონაცემები გაანგარიშებაში აისახება 15 თებერვალს.

2. დაზუსტებული დღგ-ის დეკლარაციების, ასევე, დადგენილი ვადის დარღვევით (დაგვიანებით) წარმოდგენილი დღგ-ის პირველადი დეკლარაციების მონაცემები გაანგარიშებაში აისახება მათი დამუშავების შემდეგ. დეკლარაციების მონაცემების გაანგარიშებაში ასახვა ხორციელდება ქრონოლოგიური წესით. დაზუსტებული დღგ-ის დეკლარაციების, ასევე დადგენილი ვადის დარღვევით (დაგვიანებით) წარმოდგენილი დღგ-ის პირველადი დეკლარაციების მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია საგადასახადო შეთანხმებით მოცულ პერიოდზე ან/და იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზეც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, გაანგარიშებაში არ აისახება.

მაგალითი 5:

შპს X-მა 2019 წლის 11 მარტს წარმოადგინა 2019 წლის თებერვლის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, რომელიც დააზუსტა 2019 წლის 12 მარტს. ამასთან, ამავე დღეს წარმოადგინა 2019 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, რომელიც მანამდე წარმოდგენილი არ იყო (დეკლარაცია წარმოადგინა ვადის დარღვევით).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოცემულ პირობებში:

2019 წლის თებერვლის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციის მონაცემები გაანგარიშებაში აისახება 2019 წლის 15 მარტს, ხოლო იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დეკლარაციის მონაცემები - 2019 წლის 12 მარტს.

მუხლი 4. გაანგარიშებაში მონაცემთა ასახვის წესი

1. გაანგარიშებაში აისახება:

ა) პირველადი საგადასახადო დეკლარაციის, დაზუსტებული დეკლარაციის და დადგენილი ვადის დარღვევით (დაგვიანებით) წარმოდგენილი პირველადი დეკლარაციის მონაცემები, რომლის დამუშავების პროცესიც წარმატებით დასრულდა (შესაბამისი რისკის კრიტერიუმების და უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოსთვის დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით) და რომლითაც (დაზუსტებული დეკლარაციების შემთხვევაში, პირველად წარმოდგენილსა და დაზუსტებულ დეკლარაციაში გამოანგარიშებული თანხების სხვაობით) იზრდება გადასახადის გადამხდელის მიერ დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო დეკლარაციების დაზუსტების მიზნით წარმოდგენილი დაზუსტებული დეკლარაციის მონაცემები, რაც იწვევს აღნიშნული საგადასახადო დეკლარაციით წარმოშობილი დღგ-ის ზედმეტობის შემცირებას, მიუხედავად მისი დამუშავების პროცესის (შესაბამისი რისკის კრიტერიუმების გათვალისწინებით) შედეგისა. აღნიშნული ოპერაციის შედეგად, გაანგარიშებაში ფიქსირებული მონაცემი (დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა) არ შეიძლება იყოს 0-ზე ნაკლები;

გ) გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული მონაცემების ცვლილებისას - კორექტირების ოპერაცია, რაც იწვევს გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის თანხის შემცირებას. ამ შემთხვევაში, გაანგარიშებაში ფიქსირებული მონაცემი (დასაბრუნებელი დღგ-ის თანხა) არ შეიძლება იყოს 0-ზე ნაკლები;

დ) გადასახადის გადამხდელის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი მოთხოვნა, გაანგარიშებაში არსებული ზედმეტად გადახდილი თანხის სპეციალური წესით დაბრუნების თაობაზე, რა დროსაც გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობა მცირდება მოთხოვნის შესაბამისად, ამ წესის მე-5 მუხლის გათვალისწინებით.

მაგალითი 6:

შპს X-მა 2019 წლის 15 მაისს წარმოადგინა აპრილის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, სადაც შესამცირებლად გამოანგარიშებული დღგ-ის თანხა შეადგენდა 200 000 ლარს. აღნიშნული დეკლარაციის დამუშავების პროცესი წარმატებით დასრულდა (შესაბამისი რისკის კრიტერიუმების გათვალისწინებით).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ამავე დღეს შპს X-მა წარმოადგინა აპრილის თვის საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც, გადამხდელს განესაზღვრა საგადასახადო ვალდებულება 50 000 ლარის ოდენობით. ხოლო, ამავე წლის 20 მაისს, დადგენილი ვადის დარღვევით (პირველადი), წარმოადგინა 2019 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, რომლითაც ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი დღგ-ის თანხა შეადგენდა 20 000 ლარს, და თებერვლის თვის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც, შესამცირებლად გამოანგარიშებული დღგ-ის თანხა შეადგენდა 100 000 ლარს. ორივე ხსენებული დეკლარაცია წარმოდგენის მომენტში დაექვემდებარა დამატებით შესწავლას.

გადასახადის გადამხდელმა, რომელსაც 2019 წლის 21 მაისს გაანგარიშებაში უფიქსირდებოდა 150 000 ლარის ოდენობით ავტომატურ რეჟიმში დაბრუნებას დაქვემდებარებული დღგ-ის ზედმეტობა, მოითხოვა 100 000 ლარის დაბრუნება.

სხვა ოპერაცია გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათებზე არ განხორციელებულა.

მოცემულ პირობებში:

2019 წლის 15 მაისს გაანგარიშებაში განხორციელდება 200 000 ლარის გატარება, რომელიც იმავე დღის ბოლოს დაკორექტირდება ნაერთ ინფორმაციაში დაფიქსირებული ნაშთიდან გამომდინარე, რომლის შედეგადაც გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობა გაუტოლდება 150 000 ლარს (მოგების გადასახადის დარიცხვის გამო). ხოლო რაც შეეხება შესასწავლ დეკლარაციებს, მათი მონაცემების ასახვა გაანგარიშებაში არ განხორციელდება, ვინაიდან წარმოდგენილი დეკლარაციები დაექვემდებარა დამატებით შესწავლას, ამასთან, აღნიშნული დეკლარაციებით ნაერთ ინფორმაციაში დამატებით წარმოიშვა ზედმეტობა და ამ მომენტისთვის შეადგინა 230 000 ლარი.

შესაბამისად, შპს X-ს, 2019 წლის 21 მაისის მდგომარეობით, გაანგარიშებაში დაუფიქსირდება ზედმეტობა 150 000 ლარის ოდენობით, რომლიდანაც ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნა 100 000 ლარი. შესწავლას დაქვემდებარებული დეკლარაციებში დაფიქსირებული მონაცემების ასახვა ქრონოლოგიური წესით განხორციელდება იმ თარიღში, როდესაც წარმატებთ დასრულდება შესწავლის პროცესი.

მუხლი 5. გაანგარიშებაში შედეგების გამოყვანის წესები

1. გაანგარიშებაში შედეგების გამოყვანა ხდება დღის ბოლოს, არსებული მონაცემების კორექტირების მიზნით, ოპერაციის გატარების თარიღით, გარდა საანგარიშო პერიოდის კუთვნილი სავადო თარიღის დადგომამდე წარმოდგენილი პირველადი საგადასახადო დეკლარაციისა, რომლის მონაცემებიც გაანგარიშებაში გატარდება შესაბამისი სავადო თარიღით. გაანგარიშებაში შედეგების გამოყვანა ხდება შემდეგი წესით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული ზედმეტობის ოდენობა აღემატება გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობას, გაანგარიშებაში არსებული მონაცემები რჩება უცვლელი.

მაგალითი 7:

შპს X-ს, 2019 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, გაანგარიშებაში უფიქსირდება ზედმეტობა 150 000 ლარის ოდენობით. ამავე დღის მდგომარეობით, ნაერთი ინფორმაციის მიხედვით, გადამხდელს აქვს სალდირებული ზედმეტობა 200 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ პირობებში:

2019 წლის 18 თებერვლის დღის ბოლოს არ განხორციელდება კორექტირება, ვინაიდან გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობა ნაკლებია ნაერთ ინფორმაციაში არსებულ ზედმეტობაზე. შესაბამისად, დღის ბოლოს ნაშთები უცვლელი დარჩება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული ზედმეტობის ოდენობა ნაკლებია გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობაზე, გაანგარიშებაში ხორციელდება მაკორექტირებელი გატარება, რაც გულისხმობს გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის თანხასა და ნაერთ ინფორმაციაში არსებული ზედმეტობის თანხას შორის სხვაობის გატარებას გაანგარიშებაში. აღნიშნულის განხორციელების შედეგად, გაანგარიშებაში დაფიქსირებული ზედმეტობა მცირდება და ნაერთ ინფორმაციასა და გაანგარიშებაში არსებული ზედმეტად გადახდილი თანხების ნაშთები უტოლდება ერთმანეთს.

მაგალითი 8:

შპს X-ს, 2019 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, გაანგარიშებაში უფიქსირდება ზედმეტობა 150 000 ლარის ოდენობით. ამავე დღის მდგომარეობით, ნაერთი ინფორმაციის მიხედვით, გადამხდელს აქვს სალდირებული ზედმეტობა 100 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ პირობებში:

2019 წლის 18 თებერვალს, დღის ბოლოს, განხორციელდება მაკორექტირებელი გატარება, ვინაიდან გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობა მეტია ნაერთ ინფორმაციაში არსებულ ზედმეტობაზე, გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობა შემცირდება სხვაობის თანხით - 50 000 ლარით და დღის ბოლოს ნაშთები ნაერთ ინფორმაციასა და გაანგარიშებაში ერთმანეთს გაუტოლდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში ფიქსირდება სალდირებული საგადასახადო დავალიანება (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული), ხოლო გაანგარიშებაში ფიქსირდება ზედმეტობა, გაანგარიშებაში ხორციელდება მაკორექტირებელი გატარება, რის შედეგადაც, გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობა ნულს უტოლდება. აღნიშნულის განხორციელების შედეგად გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობა, რომელიც 0-ს გაუტოლდა, უცვლელი რჩება, იმ შემთხვევაში, თუ:

გ.ა) გაიზარდა გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანების ოდენობა (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული);

გ.ბ) შემცირდა გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანების ოდენობა (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული), თუმცა დავალიანება მაინც ფიქსირდება;

გ.გ) გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული საგადასახადო დავალიანების ოდენობა (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული) ნულს გაუტოლდა და ამასთან, დაფიქსირდა ზედმეტობა, რომელიც არ არის წარმოშობილი გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციით.

მაგალითი 9:

შპს X-ს, 2019 წლის 18 თებერვლის მდგომარეობით, გაანგარიშებაში უფიქსირდება ზედმეტობა 100 000 ლარის ოდენობით. ამავე დღის მდგომარეობით, ნაერთი ინფორმაციის მიხედვით, გადამხდელს აქვს სალდირებული ნარჩენი 150 000 ლარის ოდენობით.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან 2019 წლის 18 თებერვალს ნაერთ ინფორმაციაში ფიქსირდება სალდირებული ნარჩენი, რომელიც აღემატება გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობას, 2019 წლის 18 თებერვალს, დღის ბოლოს, გაანგარიშებაში განხორციელდება მაკორექტირებელი გატარება, რომლითაც გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ოდენობა შემცირდება 100 000 ლარით და 0-ს გაუტოლდება.

მაგალითი 10:

შპს X-ს 2019 წლის 18 თებერვალს, დღის ბოლოს, გაანგარიშებაში უფიქსირდება 0-ის ტოლი ზედმეტობა, ხოლო ნაერთ ინფორმაციაში - 20 000 ლარის ოდენობით საგადასახადო დავალიანება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2019 წლის 19 თებერვალს გაეზარდა ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული ნარჩენი 20 000 ლარით. ხოლო ამავე წლის 20 თებერვალს ნაერთ ინფორმაციაში სალდირებული ნარჩენი შეუმცირდა 10 000 ლარით, რის შედეგადაც, 2019 წლის 20 თებერვალს, აღნიშნულ ინფორმაციაში სალდირებული ნარჩენი შეადგენდა 30 000 ლარს.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან 2019 წლის 19 და 20 თებერვალს გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში ფიქსირდება სალდირებული ნარჩენი, გაანგარიშებაში არ განხორციელდება მაკორექტირებელი გატარება და მასში არსებული 0-ის ტოლი ზედმეტობა უცვლელი დარჩება.

მაგალითი 11:

2019 წლის 18 თებერვალს შპს X-ის გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობა შეადგენდა 0 ლარს. ამავე დღის მდგომარეობით, ნაერთი ინფორმაციის მიხედვით, გადამხდელს უფიქსირდებოდა სალდირებული ნარჩენი 150 000 ლარის ოდენობით.

2019 წლის 19 თებერვალს შპს X-ს შეუმცირდა ნაერთ ინფორმაციაში არსებული სალდირებული ნარჩენი და წარმოეშვა ზედმეტობა 20 000 ლარის ოდენობით, რაც წარმოიშვა მოგების გადასახადის დეკლარაციით.

მოცემულ პირობებში:

ვინაიდან 2019 წლის 19 თებერვალს ნაერთ ინფორმაციაში არსებული ზედმეტობა 20 000 ლარის ოდენობით წარმოშობილია მოგების გადასახადის დეკლარაციით, გაანგარიშებაში არ განხორციელდებამაკორექტირებელი გატარება და მასში არსებული 0-ის ტოლი ზედმეტობა უცვლელი დარჩება.

მუხლი 6. **გაანგარიშების წარმოება საწარმოთა რეორგანიზაციისას**

1. საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზაციის შემთხვევაში, ბარათების შემოწმების შემდეგ, რეორგანიზებული საწარმოს (ორგანიზაციის) გაანგარიშებაში არსებული მონაცემები გადაიტანება უფლებამონაცვლე საწარმოს (ორგანიზაციის) გაანგარიშებაში რეორგანიზაციის თარიღით (რეორგანიზაციის თარიღის ათვლა მოხდება შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღიდან).

2. საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზაციის შემთხვევაში, უფლებამონაცვლე საწარმოს (ორგანიზაციის) გაანგარიშებაში მონაცემების კორექტირების მიზნებისათვის, გამოიყენება ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დებულებები.

მუხლი 7. **გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის დაბრუნების პროცედურა**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობა, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით და ფარგლებში, ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნებას, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის№996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №I-131 დანართით გათვალისწინებული „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენის გზით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, გადასახადის გადამხდელისათვის დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის ოდენობა, აღნიშნული თანხის დაბრუნების მოთხოვნის მომენტისათვის, განისაზღვრება ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი წესით.

3. გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის გადასახადის გადამხდელისათვის დაბრუნების მიზნით,გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ მოქმედებათა საფუძველზე განსაზღვრულ ფარგლებში, გამოიწერება საგადახდო დავალება, მოთხოვნის წარმოდგენისთანავე, რაც ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სახაზინო სამსახურს, რომელიც ახორციელებს თანხის დაბრუნების შესაბამის ღონისძიებებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში აღნიშნული თანხა აღემატება საგადახდო დავალების გამოწერის დღისთვის გაანგარიშებაში ასახული ზედმეტობის მაჩვენებელს, საგადახდო დავალება გამოიწერება გაანგარიშებაში არსებული ზედმეტობის ფარგლებში.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელების გაანგარიშებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაშთების გადმოტანა ხორციელდება 0-ის ტოლი თანხის გატარებით, მიუხედავად იმისა, გადასახადის გადამხდელის ნაერთ ინფორმაციაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიქსირდება ზედმეტობა თუ სალდირებული საგადასახადო დავალიანება (მათ შორის, დავალიანება, რომელიც არ არის აღიარებული).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმა

ოპერაციის თარიღი	ოპერაციის შინაარსი	დღგ-ის დეკლარაციის საანგარიშო პერიოდი	დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის ზრდა	დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის შემცირება	დასაბრუნებელი დღგ-ის თანხის ნაშთი
1	2	3	4	5	6

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №43

2019 წლის 15 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 21 აპრილის №324 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 21 აპრილის №324 ბრძანებაში (სსმ III, 23.04.2010 წ., №46, მუხლი 688) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა^{1}“ ქვეპუნქტი:

„ა^{1}) სამმართველოს უფროსის მოადგილე:

ა^{1}. ა) უმაღლესი ეკონომიკური, იურიდიული, ტექნიკური, პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტის, სახელმწიფო მართვის მოხელის ან მენეჯერის განათლება;

ა^{1}. ბ) ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

ა^{1}. გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს შრომის კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25ნოემბრის №764 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №782 ბრძანების ცოდნა;

ა^{1}. დ) უცხო ენის ცოდნა;

ა^{1}. ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.“.

ბ) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ ქვეპუნქტი:

ბ^{1}) მთავარი სპეციალისტი:

ბ^{1}. ა) უმაღლესი იურიდიული ან სახელმწიფო მართვის მოხელის განათლება;

ბ^{1}. ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

ბ^{1}. გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს შრომის კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის №764 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა კონკურსისა და

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №782 ბრძანების ცოდნა;

ბ[1]. დ) უცხო ენის ცოდნა;

ბ[1]. ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.“.

2. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) საგამოძიებო (მათ შორის, პროკურატურის) ან ოპერატიულ დანაყოფებში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 1 წლის გამოცდილება ან მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;“.

3. **მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი**:

„7. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი:

ა) უმაღლესი ან სრული ზოგადი განათლება;

ბ) საფინანსო-სამეურნეო სფეროში მუშაობის არანაკლებ 6 თვის გამოცდილება;

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსსაგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის №764 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №782 ბრძანების ცოდნა;

დ) უცხო ენის ცოდნა;

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.“.

4. **მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი**:

„1[1]. სამმართველოს უფროსის მოადგილე:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილების, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 ნოემბრის №790 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 ნოემბრის №764 ბრძანების, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №782 ბრძანების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;

ე) უცხო ენის ცოდნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/63

2019 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებით (სსმ, ვებპორტალი, 040030000.22.024.016067, 20.04.2011) დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ^{3}“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ^{3}) შიდა ნაოსნობის გემების წიგნში დარეგისტრირებული გემის მესაკუთრის/სახელის შეცვლასთან დაკავშირებული ყველა მოწმობის გაცემა 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემებზე:

მე-10 სამუშაო დღეს – 430 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს – 700 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 820 ლარი;

24 საათის განმავლობაში – 870 ლარი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იმავე დღეს – 960 ლარი.";

ბ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ[14]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[14]) შიდა ნაოსნობის გემების წიგნში დარეგისტრირებული გემებისათვის მოწმობის/დოკუმენტების დამოწმებული ასლის გაცემა:

მე-10 სამუშაო დღეს – 15 ლარი;

მე-5 სამუშაო დღეს – 25 ლარი;

მე-3 სამუშაო დღეს – 35 ლარი;

24 საათის გასვლისთანავე – 45 ლარი;

იმავე დღეს – 55 ლარი.";

გ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ[21]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[21]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემის მუდმივი რეგისტრაცია, ვადიანი რეგისტრაცია ან/და ვადიანი რეგისტრაციის გაგრძელება – 440 ლარი: (გავრცელდეს 2016 წლის 25 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.)";

დ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[26]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[26]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში რეგისტრირებული გემის მესაკუთრის/სახელის შეცვლასთან დაკავშირებული ყველა მოწმობის გაცემა 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემებზე – 430 ლარი;";

ე) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[31]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[31]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში რეგისტრირებული 100 და მეტი საერთო ტევადობის(GT) გემებისათვის მოწმობის/ დოკუმენტების დამოწმებული ასლის გაცემა – 55 ლარი;";

ვ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[48]" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ჰ[48]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემის სახომალდო რადიოსადგურის მოწმობის გაცემა – 260 ლარი; (გავრცელდეს 2016 წლის 25 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).“;

ზ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ[54]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[54]) საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემის საგამონაკლისო (Exemption) დოკუმენტის გაცემა - 600 ლარი;“;

თ) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ[56]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ[56]) საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემის კონვენციურ და არაკონვენციურ სერტიფიკატებთან/მოწმობებთან შესაბამისობის ყოველწლიური შეფასება:

საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული	შიდა ნაოსნობაში ჩართული
100-10000 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 600 ლარი	100-10000 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 350 ლარი
10000-50000 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 1000 ლარი	10000-50000 საერთო ტევადობამდე (GT) გემისათვის – 650 ლარი
50000 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემისათვის – 1500 ლარი	50000 და მეტი საერთო ტევადობის გემისათვის – 1000 ლარი

“;

ი) წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ჰ[74]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჰ74) „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საზღვაო საწვრთნელი კურსის/პროგრამის აღიარება:

განცხადების შეტანიდან 16-დან 20 სამუშაო დღის განმავლობაში – 350 ლარი;

განცხადების შეტანიდან 10-დან 15 სამუშაო დღის განმავლობაში – 700 ლარი;

შეჩერებული აღიარების განახლება განცხადების შეტანიდან 10 დღის განმავლობაში – 170 ლარი;

აღიარების სერტიფიკატში ცვლილების შეტანა განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში – 260 ლარი.

შენიშვნა: ოცი დღის განმავლობაში შესაძლებელია განაცხადის შემოტანა არაუმეტეს ხუთი სასწავლო-საწვრთნელი კურსის/პროგრამის აღიარებაზე.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ[85]“ „ჰ[86]“, „ჰ[87]“, „ჰ[88]“ „ჰ[89]“, „ჰ[90]“, „ჰ[91]“ და „ ჰ[92]“ ქვეპუნქტები:

„ჰ[85]) შიდა ნაოსნობის გემების წიგნში დარეგისტრირებული 100 და მეტი საერთო ტევადობის (GT) გემის სახომალდო რადიოსადგურის მოწმობის გაცემა – 260 ლარი.

ჰ[86]) შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 და მეტი საერთო ტევადობის გემისთვის საგამონაკლისო (Exemption) დოკუმენტის გაცემა – 300 ლარი;

ჰ[87]) 100 საერთო ტევადობამდე (GT) გემებისათვის საგამონაკლისო (Exemption) დოკუმენტის გაცემა – 100 ლარი.

ჰ[88]) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, დასვენებისა და უქმე დღეებში გემის განმეორებითი შემოწმება ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის მიერ – კანონმდებლობით დადგენილ ვადაში – 2000 ლარი;“

ჰ[89]) საერთაშორისო ნაოსნობის გემების წიგნში, ბერბოუტ-ჩარტერის გემების წიგნში ან მშენებარე გემების წიგნში რეგისტრირებული 100 საერთო ტევადობაზე (GT) ნაკლები გემებისათვის მოწმობის/დოკუმენტების დამოწმებული ასლის გაცემა – 15 ლარი.

ჰ[90]) საზღვაო კოდექსის მე-40 მუხლის მე-4 ან/და მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ნებართვის გაცემა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებისათვის:

3-დან 10 დღის განმავლობაში – 20 ლარი;

11-დან 20 დღის განმავლობაში – 10 ლარი.

ჰ[91]) სხვა ქვეყნის დროშის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული გემის მიმართ „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის სერტიფიკატის“ გაცემა – 270 ლარი;

ჰ[92]) „საზღვაო კულინარიის“ მომზადების კურსის/პროგრამის აღიარება:

განცხადების შეტანიდან 10-დან 15 სამუშაო დღის განმავლობაში – 1000 ლარი;“;

ლ) წესის მე-3 მუხლის მე-4, მე-6 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სააგენტოს მიერ დაწესებული საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგ დაწესებულებებზე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახური.“.

„6. სახელმწიფო-საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გადაწყვეტილებით, შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების დამატებითი შემთხვევები.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„9. ამ მუხლის პირველი პუნქტის ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჰ^{1}, ჰ^{5}, ჰ12 და ჰ^{85} ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების მე-10 დღეს გაწევისას იმ შიდა ნაოსნობის თევზსაჭერ და თევზსარეწ გემებზე, რომელთა ნაოსნობის რაიონიც არ აღემატება 12 საზღვაო მილს, იმოქმედებს მე-10 დღის საფასური შემდეგი სახით:

ჭ) მე-10 სამუშაო დღე – 70 ლარი

ხ) მე-10 სამუშაო დღე – 80 ლარი

ჯ)მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ) მე-10 სამუშაო დღე – 80 ლარი

ჰ^{1}) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ^{5}) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ^{12}) მე-10 სამუშაო დღე – 60 ლარი

ჰ^{85}) მე-10 სამუშაო დღე – 70 ლარი.“;

მ) წესის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^{1} პუნქტი:

„4^{1}. სააგენტოს მიერ დაწესებული გემის მომდევნო წლის რეგისტრაციის განახლების საფასურის გადახდის ვალდებულება არ ვრცელდება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული იმ გემის მიმართ, რომლის გემთმფლობელიც გემის სარეგისტრაციო წლის განმავლობაში დაასაქმებს საქართველოს მოქალაქეობის მქონე მეზღვაურებს, არანაკლებ ეკიპაჟის შემადგენლობის მინიმუმ 10%-სა.“;

ნ) წესის მე-4 მუხლის 2^{1} პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^{1}. სააგენტოს მომსახურებით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მომსახურების მიღების შემდეგ ოცდაათი კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მომსახურების საფასური, თუ გაწეული მომსახურებისათვის გადასახდელი თანხის უზრუნველსაყოფად პირი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში გაცემულ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას 18 000 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი ქობულია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №07/ნ

2019 წლის 1 თებერვალი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“:

ა) მე-6 მუხლის 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის და ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, უნდა დააწესოს გამოცდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგანში ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფიდან, ხოლო ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, უნდა დააწესოს გამოცდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგანში ან/და „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფიდან.“;

ბ) მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33-ე და 34-ე პუნქტები:

„33. 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტთა მიღების გამოცხადებისა და ამ პროგრამაზე აბიტურიენტების დარეგისტრირების მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 15 დეკემბრამდე წარდგენილ ანკეტაში მითითებულ ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაწესებული საგნის/საგნების ნაწილში და აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დააწესოს გამოცდა/გამოცდები ამ დებულების მე-6

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგანში ან/და „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფიდან;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ, თუ აღნიშნულით არ იცვლება ანკეტაში მითითებული, შესაბამის პროგრამაზე მისაღები აბიტურიენტების ადგილების რაოდენობა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცვლილების თაობაზე ცენტრს წერილობით მიმართავს არაუგვიანეს 2019 წლის 5 თებერვლისა;

გ) ცენტრი ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული, კომპიუტერულად დამუშავებული ინფორმაცია, ასახოს ელექტრონულ ბაზაში და განათავსოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.

34. 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, აბიტურიენტთა მიღების გამოცხადებისა და აბიტურიენტების დარეგისტრირების მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 15 დეკემბრამდე წარდგენილ ანკეტაში, ამავე ანკეტაში მითითებული ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში და აღნიშნულ პროგრამაზე აბიტურიენტთა მიღება გამოაცხადოს სხვა აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან გაერთიანებულად, ერთიანი მიღების ფარგლებში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შეცვალოს ჩარიცხვისთვის დაწესებული საგანი/საგნები და გაერთიანებულ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის დააწესოს გამოცდა/გამოცდები მხოლოდ ამ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საგანში ან/და „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფიდან;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ, თუ აღნიშნულით არ იზრდება ანკეტაში მითითებული, გაერთიანებულ პროგრამებზე მისაღები აბიტურიენტების ადგილების ჯამი;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების თაობაზე ცენტრს წერილობით მიმართოს არაუგვიანეს 2019 წლის 5 თებერვლისა, ხოლო ცენტრი ვალდებულია აღნიშნული, კომპიუტერულად დამუშავებული ინფორმაცია, ასახოს ელექტრონულ ბაზაში და განათავსოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №08/ნ

2019 წლის 1 თებერვალი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (დანართი №1) მე-40 მუხლის 31-ე პუნქტის შემდგომ დაემატოს 32-ე პუნქტი შემდეგი შინაარსით:

„32. ამ დებულების მე-13 მუხლით განსაზღვრული წესით აბიტურიენტთა მიღების გამოცხადების გარდა, 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, აბიტურიენტთა მიღების გამოცხადებისა და აბიტურიენტების დარეგისტრირების მიზნით:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 15 დეკემბრამდე წარდგენილ ანკეტაში ასახოს ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლებზეც 2018 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში მიმდინარეობს აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანკეტაში ასახული ინფორმაციის სისწორის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამოწმება გულისხმობს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის დადასტურებას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ცენტრში წარადგინოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში;

გ) ცენტრი ანკეტაში გათვალისწინებულ ინფორმაციას ელექტრონულ ბაზაში ასახავს და საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს მხოლოდ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თაობაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

დ) აბიტურიენტს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის უფლება აქვს ამ პროგრამის ელექტრონულ ბაზაში ასახვის შემდეგ;

ე) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ, ან შეწყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა გამოიყენოს ანკეტაში მითითებულ სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების მიზნით, რის შესახებაც საგანმანათლებლო დაწესებულება აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ან ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს დამატებით ინფორმაციას უკვე წარდგენილ ანკეტაში ადგილების რაოდენობის დასამატებლად;

ვ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვალდებულია გადაამოწმოს ანკეტაში ასახული ინფორმაციის სისწორე და ანკეტის მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში დამოწმებული ანკეტა გადააგზავნოს ცენტრში;

ზ) ცენტრი ვალდებულია ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპიუტერულად დამუშავებული ელექტრონული ინფორმაცია ასახოს ელექტრონულ ბაზაში და განათავსოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №09/ნ

2019 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 30/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017581) და ბრძანების 1^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1^1. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაცია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც სწავლის უფლება უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოიპოვეს 2019 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-12/ნ

2019 წლის 11 თებერვალი, ქ. თბილისი

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის №01-31/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 19 მაისის №01-31/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 19/05/2014 წ., 470230000.22.035.016261) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:“.

2. **ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები)**:

ა) **მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,ბ) უფლებამოსილი პირი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ახორციელებს ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის გადამოწმებას.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-5 მუხლის:

ბ.ა) მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ დედას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ მამას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ-ერთ მშობელს, ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე სააგენტოსთვის მიმართვის შემთხვევაში, გარდა ამ წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება არ წარმოიშობა ან წარმოშობილი უფლება წყდება, თუ ბენეფიციარი იმყოფება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში.“.

გ) მე-6 მუხლის:

გ.ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბავშვის/ბავშვების მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროების შემთხვევაში – საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა);“;

გ.ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

,,3^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადებით (პირველადი/განმეორებითი) მიმართვის დროს პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ მიმართვის თარიღის მდგომარეობით, რეგიონი კანონმდებლობის შესაბამისად აღარ მონაწილეობს პროგრამაში, მაგრამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდება ან ეს მაჩვენებელი არ აღემატება 200-ს და ბენეფიციარი აკმაყოფილებს დახმარების დანიშვნის პირობებს.“;

დ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5-მე-9 პუნქტები:

„5. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევში, თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სხვა კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მის მიმართ წარმოშობილია მზრუნველობის დაწესების სამართლებრივი საფუძვლები და დახმარების მიღების უფლება, მისთვის მზრუნველის დანიშვნამდე, სააგენტო მომსახურე საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე ხსნის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება დახმარების თანხა.

7. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევში, თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სხვა კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშზე მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა კანონიერი წარმომადგენელი მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსს.

8. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მის მიმართ წარმოშობილია მზრუნველობის დაწესების სამართლებრივი საფუძვლები და დახმარების მიღების უფლება, მისთვის მზრუნველის დანიშვნამდე, სააგენტო მომსახურე საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე ხსნის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება დახმარების თანხა.

9. ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პირის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე ჩარიცხული თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) განკარგვა შესაძლებელია, მხოლოდ პირის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ან სრულწლოვანების მიღწევამდე – მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.“;

ე) მე-11 მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,ვ^1“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ^1) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი იმყოფება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში;“;

ე.ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი/კანონიერი წარმომადგენელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში და აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იქნება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა) .“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №30

2019 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-6 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის, სახელწოდების/სახელის ან/და გვარის, სამართლებრივი ფორმის ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის შეცვლას.“;

ბ) მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გადასახადის გადამხდელის იურიდიული მისამართის ან საცხოვრებელი/საქმიანობის ადგილის შეცვლის შემთხვევაში მასზე გაიცემა გადასახადის გადამხდელის ახალი მოწმობა.“.

2. **მე-6 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი**:

„**მუხლი 6^1. გადასახადის გადამხდელის კატეგორია**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მიერ განესაზღვრება სიდიდის შესაბამისი კატეგორია.

2. გადასახადის გადამხდელს კატეგორია განესაზღვრება სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

3. კატეგორიის განსაზღვრა ხორციელდება კალენდარული თვის პირველი რიცხვისთვის, არაუგვიანეს შესაბამისი თვის 15 რიცხვისა.

4. გადასახადის გადამხდელს კატეგორია განესაზღვრება კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით მიღებული შემდეგი ორი მაჩვენებლიდან უდიდესით:

ა) პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციის საფუძველზე დარიცხული გადასახადების თანხების ჯამი;

ბ) პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დეკლარაციის საფუძველზე შესამცირებლად გამოანგარიშებული გადასახადების თანხების ჯამი.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მაჩვენებლები ერთმანეთის ტოლია, კატეგორია განისაზღვრება ერთ-ერთი ნებისმიერი მაჩვენებლით.

6. კატეგორია შეიძლება იყოს:

ა) მცირე – პირი, რომლის მიერ დარიცხული ან შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი ნაკლებია 100 000 ლარზე;

ბ) საშუალო –პირი, რომლის მიერ დარიცხული ან შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი შეადგენს 100 000 ლარს ან ნაკლებია 2 000 000 ლარზე;

გ) მსხვილი – პირი, რომლის მიერ დარიცხული ან შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი მეტია ან ტოლია 2 000 000 ლარის.

7. მიუხედავად ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა, პირს განესაზღვრება მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორია, თუ იგი ახორციელებს ერთ-ერთ შემდეგ საქმიანობას:

ა) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;

ბ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ან/და გადაზღვევის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის ან ნებართვის მქონე პირის საქმიანობა;

დ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კერძო მაუწყებლობის ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;

ე) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამორინეს მოწყობის ნებართვის მქონე პირის მიერ სამორინეს მოწყობა;

ვ) ნავთობის და გაზის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპანიების საქმიანობა.

8. სახელმწიფოსთვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის, აგრეთვე, მათ მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის, რომლებიც კატეგორიის განსაზღვრისას არ არიან რეგისტრირებულნი დღგ-ის გადამხდელად, გადასახადის გადამხდელის კატეგორიის განსაზღვრის მიზნებისთვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მაჩვენებლების თანხაში არ გაითვალისწინება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციით დარიცხული ან შემცირებული გადასახადის თანხები.

9. ამ მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების გათვალისწინებით, პირისთვის განსაზღვრული კატეგორია ექვემდებარება ცვლილებას ავტომატურად:

ა) მცირე და საშუალო – ყოველი კალენდარული თვის პირველი რიცხვისთვის;

ბ) მსხვილი – ყოველი წლის 1 იანვრისა და 1 ივლისის მდგომარეობით.

10. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ პირ(ებ)ს, თუ რეორგანიზაციის დაწყებამდე მინიმუმ ერთი მხარე მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირია, ავტომატურად განესაზღვრება(თ) მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორია.

11. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ პირ(ებ)ს, თუ რეორგანიზაციის დაწყებისას რეორგანიზაციის არცერთი მხარე არ არის მსხვილი გადასახადის გადამხდელის კატეგორიის მქონე პირი, სათანადო კატეგორია განესაზღვრება(თ) იმ პირის/პირთა წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის სავადო თარიღების მიხედვით მიღებული მაჩვენებლ(ებ)ით, რომლის/რომელთა რეორგანიზაციის შედეგადაც შეიქმნა ახალი სუბიექტ(ებ)ი.

12. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებებისა, გადასახადის გადამხდელს შეიძლება განესაზღვროს/შეეცვალოს კატეგორია, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მაგალითი:

სიდიდის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით, 2019 წლის 1 დეკემბერს დაჯამდა შპს X-ის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის შედეგებით მიღებული მაჩვენებლები. კერძოდ, დაჯამდა შპს X-ის მიერ სავადო თარიღით „დარიცხული“ გადასახადების თანხების ჯამი, 2018 წლის ოქტომბრის დეკლარაციიდან 2019 წლის ოქტომბრის დეკლარაციის ჩათვლით, რამაც 1 900 000 ლარი შეადგინა. აგრეთვე, დაჯამდა შპს X-ის მიერ სავადო თარიღით „შემცირებული“ გადასახადების თანხების ჯამი,2018 წლის ოქტომბრის დეკლარაციიდან 2019 წლის ოქტომბრის დეკლარაციის ჩათვლით, რამაც 1 920 000 ლარი შეადგინა.

შესაბამისად, დადგინდა, რომ „დარიცხული“ და „შემცირებული“ თანხებიდან უდიდესი მაჩვენებელია „შემცირებული“ 1 920 000 ლარი.

შედეგად, 2019 წლის 1 დეკემბერს შპს X-ის სიდიდის კატეგორია განისაზღვრა „საშუალო“.

შპს X-მა 2019 წლის 15 დეკემბერს წარადგინა 2019 წლის ნოემბრის დეკლარაცია „დარიცხული“ 200 000 ლარით და „შემცირებული“ 10 000 ლარით. ასევე, შპს X-მა 2019 წლის 20 დეკემბერს წარმოადგინა 2017 წლის იანვრის დაზუსტებული დეკლარაცია, რომლითაც გაზრდილია „დარიცხული“ თანხა 2 000 000 ლარით. აღსანიშნავია, რომ შპს X-ის მიერ სავადო თარიღით 2018 წლის ოქტომბრის დეკლარაცია ნულოვანი დარიცხვით არის წარდგენილი.

სიდიდის კატეგორიის განსაზღვრის მიზნით, 2020 წლის 1 იანვარს დაჯამდა შპს X-ის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის შედეგებით მიღებული მაჩვენებლები. კერძოდ, დაჯამდა შპს X-ის მიერ სავადო თარიღით „დარიცხული“ გადასახადების თანხების ჯამი, 2018 წლის ნოემბრის დეკლარაციიდან 2019 წლის ნოემბრის დეკლარაციის ჩათვლით, რამაც 2 100 000 ლარი შეადგინა (1 900 000 + 200 000). აგრეთვე, დაჯამდა შპს X-ის მიერ სავადო თარიღით „შემცირებული“ გადასახადების თანხების ჯამი, 2018 წლის ნოემბრის დეკლარაციიდან 2019 წლის ნოემბრის დეკლარაციის ჩათვლით, რამაც 1 930 000 ლარი შეადგინა (1 920 000 + 10 000).

შესაბამისად, დადგინდა, რომ „დარიცხული“ და „შემცირებული“ თანხებიდან უდიდესი მაჩვენებელია „დარიცხული“ 2 100 000 ლარი. შედეგად, 2020 წლის 1 იანვარს შპს X-ს სიდიდის კატეგორია განესაზღვრა „მსხვილი“. ხოლო 2017 წლის იანვრის დეკლარაცია აღნიშნულ გაანგარიშებაში მონაწილეობას არ იღებს.“.

3. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმაში ასახული ზედმეტად გადახდილი თანხის ავტომატური დაბრუნების მიზნებისთვის, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა საგადასახადო ორგანოს წარედგინება №I-13^1 დანართის ფორმით. გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) საგადასახადო ორგანო, რომელსაც წარედგინა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა;

ბ) პირის რეკვიზიტები – სახელი და გვარი/დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი;

გ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი;

დ) გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

3[2]. ამ მუხლის 3[1] პუნქტის მიზნებისათვის, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ავტომატური დაბრუნების სისტემის რისკების მართვის წესი და პირობები განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.“.

4. №I-13 დანართის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №I-13[1].

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №I-13[1]

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტები:
(დასახელება/სახელი და გვარი)

(საიდენტიფიკაციო ნომერი)										

(მისამართი)

გაცნობებთ, რომ ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმით მერიცხება ზედმეტად გადახდილი თანხა, სულ ------- ლარის ოდენობით.

გთხოვთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის გაანგარიშების ფორმით არსებული ზედმეტად გადახდილი თანხიდან ---------- ლარი დამიბრუნოთ ჩემს ანგარიშსწორების ანგარიშზე:

ბანკი ----------, ბანკის კოდი ---------- , ა/ა ----------.

☐ თანახმა ვარ, საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის კუთვნილების დადგენის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა და ბანკმა გაცვალონ საგადასახადო საიდუმლოების, საბანკო საიდუმლოების და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

(ხელმოწერა)		
		20
(რიცხვი) (თვე) (წელი)		

გადასახადის გადამხდელი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №31

2019 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 56[1] მუხლის მე-4 პუნქტის:

1. **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) პირის მიერ საგადასახადო დოკუმენტის გამოწერისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდებისა, გამომწერს უფლება აქვს განახორციელოს საგადასახადო დოკუმენტში შეტანილი რეკვიზიტების ცვლილება, გარდა გამოწერის თარიღის, ნომრის, ოპერაციის შინაარსის და ტიპისა;“.

2. **„ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

a u q c i o n i

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულების აუქციონის შედეგი

12.02.2019

2019 წლის 12 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 182-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 57 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.700 პროცენტით, მაქსიმალური 6.840 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 6.757 პროცენტით განისაზღვრა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

12.02.2019

2019 წლის 12 თებერვალს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 63 385 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.020 პროცენტით, მაქსიმალური 7.060 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.032 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.250 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგი

15.02.2019

2019 წლის 15 თებერვალს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 15 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2.6414 შეადგინა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ

გადასახადები

მეწარმეების, სამაღასახადო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მაღამხდელის
უნივერსალური სამამიდო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს 'ბიზნეს ინტელექტი"
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი" ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com